პიროვნებისა და საზოგადოების ინდივიდუალისტური და კოლექტივიტური ტენდენციების როლი გერმანიასა და საბერძნეთში მცხოვრები ქართველების აკულტურაციასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაში

გვანცა ბარბაქაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

როგორც წარდგენილი აკადემიური ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ქვემოთ მოყვანილი ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, დასაცავად წარდგენილ ან გამოსაქვეყნებლად მიღებულ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა ბარბაქაძე

02.06.2023

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს გერმანიასა და საბერძნეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ინდივიდუალურ და სოციალური გარემოს ფაქტორებსა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის მიმართების დადგენას. ინდივიდუალურ ფაქტორებში მოიაზრება ინდივიდუალიზმის და კოლექტივიზმის მახასიათებელი პიროვნების დონეზე და აკულტურაცია; სოციალური გარემოს ფაქტორებს მიეკუთვნება ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი საზოგადოების დონეზე, ასევე, მასპინძელი ქვეყნის ენის ფლობა, ხოლო ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხარისხი შფოთვისა და დეპრესიის მაჩვენებელს გულისხმობს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 288 სრულწლოვანმა ადამიანმა. გამოყენებული იყო ზოგადი შფოთვითი აშლილობის საკვლევი კითხვარი (Spitzer, Kroenke, Williams & Löwe, 2006), ეპიდემოლოგიური ცენტრის დეპრესიის კითხვარი (Javakhishvili, Schwartz & Skirtladze, 2021; Kohout, Berkman, Evans, & Cornoni-Huntley, 1993), ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის სკალა (Triandis & Gelfland, 1998), ვანკუვერის აკულტურაციის ინდექსი (Ryder, Alden, & Paulhus, 2000; ჯავახიშვილი, სხირტლაძე, ბუწაშვილი, ლორთქიფანიძე, მაყაშვილი, ვარდანაშვილი & შეყრილაძე 2016), Hofstede Insights-ზე ქვეყნების ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური ორიენტაციის შესახებ განთავსებული კვლევის შედეგები (Culture compass, Country comparison, (n.d.). Country comparison. Hofstede Insights). მონაცემები დამუშავდა კორელაციური და რეგრესიული ანალიზით. შედეგების მიხედვით ინდივიდის დონეზე არსებული კოლექტივიზმი არ არის კავშირში შფოთვასთან და დეპრესიასთან. ახალი ქვეყნის ორიენტაცია უარყოფითადაა დაკავშირებული შფოთვასთან და დეპრესიასთან. მასპინძელი ქვეყნის ენის ფლობა უარყოფით კორელაციაშია შფოთვასთან და დეპრესიასთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შფოთვა, დეპრესია, ინდივიდუალიზმი, კოლექტივიზმი, აკულტურაცია, ემიგრანტები.

Abstract

This paper aims to investigate the relationship between individual and social environment factors and psychological well-being of Georgian emigrants living in Germany or Greece. Individual factors involve individualism or collectivism at individual level, and acculturation; social environment factors are individualism or collectivism at broad society level, and the knowledge of host country language, whereas psychological well-being is understood in terms of anxiety and depression levels. Study participants were adult Georgian emigrants (N=288) currently living in Germany or Greece. Generalized Anxiety Disorder Questionnaire, Center for Epidemiologic Studies Depression Scale, Individualism and collectivism scale, Vancouver Index of Acculturation and study results for countries' individualistic or collectivistic orientation, available on Hofstede Insights were used in the study. Data were analyzed using correlational and regressive analyses. According to the results, collectivism at individual level is not related to anxiety or depression. New culture orientation is negatively correlated to anxiety and depression. Knowledge of host country language is also negatively correlated to anxiety and depression.

Keywords: anxiety, depression, individualism, collectivism, acculturation, emigrants.

მადლობა

გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის, დროული უკუკავშირისა და რეკომენდაციებისთვის მადლობას ვუხდი ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, ქალბატონ ია შეყრილაძეს.

მადლობას ვუხდი საბერძნეთსა და გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს კვლევაში მონაწილეობისთვის. ასევე, ყველა იმ ადამიანს, ვინც დამეხმარა კვლევის კითხვარის გავრცელებაში.